

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№1 (9)

2011

ჟურნალი დაფუძნებულია
დია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



Scientific magazin

Научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№1 (9)

2011

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მამია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუკი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,

ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია გურდული, მარია მისაილოვა,

ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაციანო, ალესანდრა სპაღორორა, გიორგი ყუფარაძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:

www.odageorgia.ge

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Griebhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და თარგმანებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

სარჩევი

ციური ახელედიანი, ნონა რუაძე ინგლისური ენის ლექსიკის გავრცელება ფრანგულ ლინგვო-კულტურულ გარემოში.....	9
ირინა ბაგდონიენე დესტრუქციული ხელოვნების მოდელი ჩეხოვის მოთხრობაში „შავი ბერი“.....	14
მარინა ზორანიანი მოტივირებული შესიტყვებების პრობლემისათვის (ზედსართავი სახელების სუფიქსის -like გამოყენებით).....	20
ელენა იაროსლავოვა უწყვეტი უცხოენოვანი განათლების თანამედროვე ეტაპის ამოცანები როგორც მომავალი უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის თვითრეალიზაციის პირობები.....	24
სვეტლანა კოლოვა სოციოკულტურული განათლება როგორც შესასწავლი ენის ქვეყანათა კულტურისა და ტრადიციების გადმოცემის ძირითადი ხერხი.....	28
ნინო ლომსაძე კომპრესია – სპეციფიკური ენობრივი მოვლენა.....	32
თამარ მაჭავარიანი ეფექტური ვერბალური კომუნიკაცია და კომუნიკაციური ბარიერები	37
თამარ მაჭავარიანი კომუნიკაციური კომპეტენცია და მისი როლი ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციაში....	44
მეგი მჭედლიშვილი ფატიკური ფუნქციის ლინგვისტური სტატუსი.....	52
გულნარა სადიხოვა ფრანგული ფრაზეოლოგიის ისტორიისა და მისი განვითარების მიმოხილვა.....	56
თინათინ სინჯიაშვილი, მანანა ივანისელი ზმნისაგან ნაწარმოები სიტყვების ბუდის სემანტიკური სტრუქტურა თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	61
ხათუნა ტაბატაძე თეოდორე სოლოგუბის იდიოლექტის კულტურული დომინანტები (რომანის „წერილფეხა ეშმაკი“ მასალაზე).....	66
ნინო ჭრიკიშვილი ემილიანური გლოსების ფონეტიკურ-მორფოლოგიური მახასიათებლები	73
თამარ ხეცურიანი კომენტარი ჯონ კრაულის ახალ ესსეთა კრებულზე.....	77
გიორგი ყუფარაძე, მაია ტურიაშვილი ხმოვანთა საწარმოთქმო თავისებურებანი კანადურ ინგლისურში.....	86
ქეთევან ჯაში, ნინო გურგენიძე ცრუ იოკონიმები და მათი ეტიმოლოგიური კვლევა ფრანგულსა და ქართულ ენებში....	94
ქეთევან ჯაში, ნანა ლომია არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებანი იტალიურ ენაში	100

Contents

Tsiuri A. Akhvlediani, Nona N. Rouadze	
English Lexic Prevalence in French Lingvocultural Sphere	9
Irina S. Bagdoniene	
The Model of Destructive art in A. Chekhov's story „The Black Monk“	14
Marina G. Zoranian	
Motivated Attributive Collocations with Suffix -like	20
Elena N. Yaroslavova	
Actual Task at the present Stage of Lifelong Foreign Language Development and Its Role in Higher School Students Self-Realisation	24
Svetlana M. Colova	
Sociocultural Education as a Main Method of Culture of Translation and Countries Traditions of Studied language	28
Nino R. Lomsadze	
Compression – Specific Linguistic Phenomenon	32
Tamar Sh. Matchavariani	
Effective Verbal Communication and Communication Barriers	37
Tamar Sh. Matchavariani	
The Role of Communicative Competence in Effective Verbal Communication	44
Megi B. Mchedlishvili	
The Linguistic Status of Phatic Function	52
Gulnara Sadikhova	
French Phraseology History and Its Developing Review	56
Tinatin V. Sinjiashvili, Manana Sh. Ivaniseli	
Semantic Structure of the Verbal Word-Formative Family in the Modern English Language	61
Khatuna Sh. Tabatadze	
Dominant Cultural Idiolect Theodor Sologub (Based on the Novel „Little Demon“)	66
Nino G. Chrikishvili	
Emilian Glosses phonetical and Morphological Characteristics	73
Tamar U. Khetsuriani	
Comment on John Crowley's Collection of New Essays on Winesburg, Ohio	77
Giorgi N. Kuparadze, Maia Turiashvili	
Pronunciation Peculiarities of Vowels in Canadian English	86
Ketevan N. Djachy, Nino L. Gurgeneidze	
False Toponymy and Their Etymological Research in French and Georgian Languages	94
Ketevan N. Djachy, Nana K. Lomia	
Particularity of Nonverbal Communication in the Italian Language	100

Содержание

Циури Ахвледiani, Нона Руадзе Распространенность английской лексики во французской лингвокультурной среде.....	9
Ирина Багдоиене Модель деструктивного искусства в повести А. П. Чехова „Черный монах“.....	14
Марина Зораян К вопросу о мотивированности атрибутивных словосочетаний с суффиксом -like	20
Елена Ярославова Актуальные задачи современного этапа развития непрерывного иноязычного образования как условия самореализации будущего специалиста высшей квалификации.....	24
Светлана Колова Социокультурное образование как основной способ трансляции культуры и традиций стран изучаемого языка	28
Нино Ломсадзе Компрессия – специфическое лингвистическое явление.....	32
Тамар Мачавариани Эффективная вербальная коммуникация и коммуникативные барьеры	37
Тамар Мачавариани Коммуникативная компетенция и ее роль в эффективной вербальной коммуникации.....	44
Меги Мchedlishvili Лингвистический статус фатической функции	52
Гульнара Садыхова История французской фразеологии и обзор ее развития.....	56
Тинатин Синджиашвили, Манана Иванисели Семантическая структура отглагольного словообразовательного гензда в современном английском языке	61
Хатуна Табатадзе Культурные доминанты идиолекта Федора Сологуба (на материале романа „Мелкий бес“).....	66
Нино Чрикишвили Фонетические и морфологические особенности Эмилианских Глоссов	95
Тамар Хецуриани Комментарий к сборнику новых эссе Джона Краули.....	77
Георгий Купарадзе, Майя Туриашвили Особенности произношения гласных звуков в Канадском английском.....	86
Кетеван Джаши, Нино Гургенидзе Ложные ойконимы и их этимологическое исследование во французском и грузинском языках	94
Кетеван Джаши, Нана Ломия Особенности невербальной коммуникации в итальянском языке.....	100

არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებანი იტალიურ ენაში

ქეთევან ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანისტიკის დეპარტამენტი

ი. ჭავჭავაძის პრ. 32, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ: 899 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

ნანა ლომია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანისტიკის დეპარტამენტი

ქ. ჩოლოყაშვილის N5, 0162

თბილისი, საქართველო

ტელ. 897 292 960

E-mail: n.lomia@libero.it

რეზიუმე

სტატია ეძღვნება დისკურსში არავერბალური ელემენტების კვლევას. კომუნიკაციის პროცესის სწორად წასამართავად და მისი ადეკვატური შეფასებისათვის აუცილებელია არა მარტო დისკურსის ვერბალური ნაწილის შესწავლა, არამედ ყველა კომპონენტის კვლევა. მათ შორის პარალინგვისტური ხერხებისაც. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მეცნიერების საკვლევი საგანი იყო მხოლოდ ვერბალური კომინიკაცია, მაგრამ ვერბალური კომუნიკაცია ზოგადად კომინიკაციის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა, რადგანაც კომუნიკაცია არის კომპლექსური ქმედება. სტატიაში განხილულია ექსტრავერბალური ელემენტები, როგორებიცაა სახის გამომეტყველება, გამოხედვა, სხეულის პოზა თანამოსაუბრეთა შორის დისტანცია. აღწერილია სხვადასხვა ქესტები. მსგავსი მოვლენები იტალიური ენის მასალაზე დაყრდნობით არის განხილული.

საკვანძო სიტყვები:

არავერბალური კომუნიკაცია, კინესიკური კოდი, პარალინგვისტური ელემენტები, ქესტიკულაცია, დისკურსი

შესავალი

ადამიანის ცხოვრება ძალზე უინტერესო იქნებოდა, რომ არ ჰქონდეს ემოციების განცდისა და მათი გამოხატვის უნარი. თავდაპირველად, ამ პრობლემით ძველი ბერძენი ფილოსოფოსები დაინტერესდნენ, ხოლო მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ამ მოვლენას ფსიქოლოგია იკვლევს. წლების მანძილზე ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორია ჩამოყალიბდა. 1872 წელს დარვინმა თავისი ნაშრომით “ემოციების გამოხატვა ადამიანებსა და ცხოველებში” უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ემოციის ბუნების კვლევაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ზიგმუნდ ფროიდის ღვაწლი, რომელმაც ემოციები განიხილა როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს ერთგვარი მექანიზმი, რომელიც ფსიქოანალიტიკური მეთოდებით შეისწავლა. უდავოა, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი მდგომარეობა და განწყობა მისსავე დისკურსში აისახება. ადამიანი ენობრივ საშუალებებს იყენებს არა მარტო აზრების მტკიცების, ფიქსაციის და ორგანიზაციისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ გამოხატოს, აღძრას, გამოიწვიოს ემოციები. კომუნიკაციის პროცესში ადამიანი მოქმედებით გადასცემს ინფორმაციას, ანუ ახორციელებს კომუნიკაციას (Watzlawick, Beavin, Jakson, 1967:41)

ძირითადი ნაწილი

ნებისმიერი კომუნიკაცია შეიცავს როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ

კომპონენტს. ვერბალური შეტყობინებებით გადმოიცემა შინაარსობრივი ასპექტები, ხოლო, რაც შეეხება არავერბალურ კომპონენტს, იგი განსაზღვრავს წარმოთქმულ სიტყვათა სტილს. კომუნიკაცია არის კომპლექსური ქმედება. ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ მკვლევარების მთელი ყურადღება მიმართული იყო მხოლოდ ვერბალური კომუნიკაციისაკენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვერბალური კომუნიკაცია ზოგადად კომუნიკაციის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა და ზოგ შემთხვევაში არც თუ ისე სრული და ამომწურავი. დისკურსი მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიკაციის არავერბალურ კომპონენტებთან თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც ყველაფრის გადმოცემა და გამოხატვა არ ხერხდება მარტოდენ სიტყვებით, მხოლოდ ვერბალური კომუნიკაცია ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ კომუნიკაციას.

ჩვეულებრივ დისკურსი არ ექცევა თანამოსაუბრეთა სრული კონტროლის ქვეშ, რაც საშუალებას აძლევს ყურადღებიან დამკვირვებელს დააფიქსიროს ბევრი ისეთი ნიუანსი, რომელიც ჩვეულებრივი ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში არ შეინიშნება და დაფარული რჩება.

ამგვარად, ხდება ხოლმე, რომ ემოციის გამოხატვის დროს მოსაუბრე ისე იყენებს ექსტრავერბალურ საშუალებებს, რომ ვერც კი ათვისებულებებს და ვერ ახერხებს მათ კონტროლს. მაგალითად, უხერხულობის, დაბნეულობის ან უეცარი შეკრთომის დროს ადამიანს მისგან დამოუკიდებლად სახე აუწითლდება ხოლმე, ან გაოგნებისას თვალები უფართოვდება და ა.შ. გამოყენებული არავერბალური ელემენტები ერთგვარად მართავს მთელ საკომუნიკაციო ქმედებას. არავერბალური ნიშნების გამოიყენება დამახასიათებელია

ემოციური მდგომარეობის დროს. ხშირად ასეთი საშუალებები უფრო ბევრის მოქმედია, ვიდრე უბრალოდ სიტყვები. ზოგ შემთხვევაში არავერბალური კომპონენტი ენაცვლება ვერბალურს და უპირისპირდება კიდევ მას. ხშირად ხდება, რომ დიალოგის დროს ადამიანის საქციელი, სხეულის მოძრაობა, სახის გამომეტყველება ააშკარავებს იმას, რაც დაფარული უნდა დარჩენილიყო. ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას შორის აშკარა კონტრასტი იკვეთება, როდესაც წარმოთქმული სიტყვები სხეულით გამოსატულ ქმედებას ეწინააღმდეგება. თუკი გვეცოდინება ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის სწორად შეთავსება, უფრო დამაჯერებელი იქნება ჩვენი ქმედება და წარმატებულად წარვმართავთ სხვებთან ურთიერთობას. არავერბალური კომუნიკაცია ხასიათდება გამომხატველ საშუალებათა სიმრავლით, როგორებიცაა სხეულით გამოსატული მოძრაობები თანამოსაუბრეთა შორის დისტანცია, მიმიკა და სახის გამომეტყველება, რომელსაც შეუძლია ემოციები და გრძნობები სახის კუნთების მყისიერი აქტივაციის საშუალებით გამოხატოს. მრავლის მოქმედია, აგრეთვე, სახის კანის ფერი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ადამიანის ამა თუ იმ ემოციური მდგომარეობის მიხედვით. ინდივიდები ინფორმაციას გადასცემენ სხეულის პოზით, რითაც თანამოსაუბრეს შეუძლია გაიგოს კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდის შინაგანი განწყობა და ის მნიშვნელობა, რომელსაც იგი აქსოვს კომუნიკაციურ კონტექსტში (Giannelli, 2006: 56).

ადამიანები მზერას აპყრობენ მეტწილად მათ, ვისთანაც რაიმე გრძნობა ან ინტერესი აკავშირებთ. მზერა და დისტანცია მუდამ უნდა შეეფერებოდეს შექმნილ სიტუაციას. მზერა შეიძლება იყოს ძალაუფლების მაჩვენებელი. საუბრის დროს,

როდესაც ერთ-ერთი თანამოსაუბრე და-
 ჟინებით უყურებს მეორეს, ეს უკანასკნელი
 კი პირიქით, თვალს არიდებს მას, შეიძლე-
 ბა დავასკვნათ, რომ პირველი გარკვეულ
 ზეგავლენას ახდენს მასზე, დიდი მნიშვნე-
 ლობის მატარებელია თვალეები, მათ უს-
 იტყვოდ შეუძლია გადმოსცენ უამრავი და
 ღრმა ემოცია. ინდივიდის სხეულის მოძ-
 რაობა ბევრი დასკვნის გაკეთების საშუა-
 ლებას იძლევა. მაღალი პოლიტიკური თუ
 საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე
 ადამიანის პოზა უფრო თავისუფალი და
 დამაჯერებელია, დაქვემდებარებული ადა-
 მიანისა კი, პირიქით—დაძაბული და შეზ-
 ღუდული. გარდა ასეთი შემთხვევებისა,
 თავისუფალი პოზა ახასიათებს ადამიანს,
 რომელიც შექმნილ სიტუაციაში კარგად
 და უშფოთველად გრძნობს თავს, ხოლო
 დაჭიმული პოზა მეტყველებს ემოციურ
 დაძაბულობაზე. სახის გამომეტყველება
 გადმოსცემს ინფორმაციას გარკვეული
 ემოციების შესახებ, ხოლო სხეულის პოზა
 მათ სიძლიერეზე მიუთითებს. დაკვირვე-
 ბები ცხადყოფს, რომ ქალები ადვილად
 ახერხებენ სხვადასხვა პირველადი ემო-
 ციების ამოცნობას, რადგან დიდ ყურადღე-
 ბას უთმობენ მოსაუბრის სახის გამომ-
 ეტყველებაზე დაკვირვებას, ხოლო, რაც
 შეეხება მამაკაცებს, ისინი მეტი მონდო-
 მებით აკვირდებიან სხეულის მოძრაობას
 და ხმის ტემბრს. ჩვეულებრივი საუბრის
 დროს თანამოსაუბრეთა შორის დისტან-
 ცია შეადგენს 1მ და 20 სმ, ან 1, 5 მ-ს.
 ამ დაშორების სულ მცირედი გაზრდა ან
 შემცირება უკვე მიანიშნებს გარკვეულ
 დაძაბულობაზე. თანამოსაუბრეთა შორის
 არსებული დისტანცია მნიშვნელოვანი
 ფაქტორია კომუნიკაციის დროს. დისკურ-
 სის მონაწილეები სხვადასხვაგვარად მოძ-
 რაობენ. მოსაუბრისა და მსმენელის მოძ-
 რაობები ერთმანეთისაგან განსხვავდება.
 ადრესანტი ცდილობს გამოიყენოს ის-

ეთი მოძრაობები, რომ ხაზი გაუსვას თავის
 სათქმელს და დაეხმაროს ადრესატს,
 ადვილად გაიგოს შეტყობინების აზრი.
 როდესაც მსმენელს უჩნდება სურვილი,
 ჩაერთოს საუბრის პროცესში, ის ამ დროს
 იყენებს სხეულის გარკვეულ მოძრაობებს
 და ამით აგრძნობინებს მოსაუბრეს თავის
 ინტენციას. იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბ-
 რე უგულვებელყოფს მსგავს სიგნალებს,
 მსმენელი იძულებული ხდება, უფრო მკა-
 ფიო მოძრაობები გამოიყენოს. ჩვენს მიერ
 მოძიებულ არც ერთ წყაროში არ ყოფილა
 ნახსენები საუბრის ტემპი, სიჩქარე, თუმ-
 ცა მიგვანიშნა, რომ ესეც ერთ-ერთი მნიშ-
 ვნელოვანი ფაქტორია დისკურსის პრო-
 ცესში. აღელვებული ადამიანის საუბრის
 ტემპი უფრო ჩქარი და შფოთიანია, ხოლო
 რაც უფრო დამშვიდებულ მდგომარეობა-
 ში იმყოფება დისკურსის მონაწილე, მით
 უფრო მშვიდი და ზომიერია მისი საუბარი.

დაბოლოს, გვსურს ყურადღება დავუთ-
 მოთ **ჟესტებს**. მათ ისტორიულ მნიშვნელო-
 ბას ანიჭებენ, როგორც ადამიანთა შორის
 კომუნიკაციის საწყის და ძირეულ კომპო-
 ნენტს. პირველყოფილი ადამიანი ხელებს
 იყენებდა თავისი აზრებისა და გრძნობების
 გამოსახატავად. ვერბალური ენის განვითა-
 რებამდე ჟესტებმა მნიშვნელოვანი როლი
 შეასრულა კომუნიკაციის პროცესში. ჟეს-
 ტები ადამიანის სულის ანარეკლია (Guazzo,
 1993: 45). ჟესტებმა დიდი წვლილი შეიტა-
 ნა ვერბალური კომუნიკაციის ევოლუცია-
 ში, ვიდრე ტოსკანური ნაციონალურ ენად
 გარდაიქმნებოდა, ჟესტებს სხვადასხვა
 ენობრივი ჯგუფების კომუნიკაციის დროს
 დიდი დატვირთვა და გამოყენება ჰქონდა.
 ტოსკანურ დიალექტზე დაწერილი პირვე-
 ლი გრამატიკა “თარგმნილ ” იქნა ჟესტე-
 ბის დახმარებით. სიტუაცია შეიცვალა
 ეროვნული ენის ჩამოყალიბების შემდეგ.
 ამის შემდეგ ჟესტების გამოყენება უკვე
 ასოცირდებოდა გაუნათლებლობასა და
 დაბალ დონესთან, მაგრამ, მაინც ჟესტები

რჩებოდა ეროვნული ენის განვითარების ერთ-ერთ თანმხლებ კომპონენტად და დღესაც წარმოადგენს იტალიელთა კომუნიკაციის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს. შესტებს აქვს ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა, მაგრამ მათი აღქმა შესაძლებელია სიტყვითა და ხმარების გარეშე. ამიტომაც, შესტების ენა ძალიან ხშირად ცვლის ვერბალურ დისკურსს. შესტები მეტწილად სიმბოლურია. ზოგ კულტურაში შესტების გადაჭარბებული გამოყენება ცუდი აღზრდის ნიშანიც კია. ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს შესტთა ორ სემანტიკურ ტიპს: კომუნიკაციურსა და სიმპტომატურს. კომუნიკაციურ შესტებს ეკუთვნის ის არავერბალური ერთეულები, რომლებიც ადრესატს გადასცემს იმ ინფორმაციას, რომლის გადაცემა ადრესანტს განზრახ სურს, ხოლო რაც შეეხება სიმპტომატურ შესტებს, ისინი მეტყველი პირის ემოციურ მდგომარეობას ასახავენ (Григорьева, Григорьев .Крейдли. 2001: 10-21). იტალიაში სხვადასხვა შესტებს თავისებური ახსნა გააჩნია. მაგალითად: **ულვაშების დაგდება** – “ულამაზესია!” ძველ დროს, სადღესასწაულო დღეებში ელევანტურად ჩაცმული მამაკაცები საგანგებოდ იგრესდნენ ულვაშებს, რაც წარმოაჩენდა მათ სილამაზეს. დღევანდელობაში ულვაში ყველა მამაკაცს როდი აქვს, მაგრამ ისინი მაინც იყენებენ ამ შესტს კარგი მანერებისა და ელევანტური ადამიანის მისამართით. ეს შესტი გამოიყენება სიტყვიერი თანხლების გარეშე, დადებითი მნიშვნელობით.

პეშვად შეკრული ხელის მტევანი – გაოგნებისა და გაბრაზების ნიშანია. ადამიანი ამ შესტით სვამს კითხვას: “რა გინდა? რას აკეთებ?” მას აქვს აგრეთვე, შეურაცხყოფის მნიშვნელობა და გულისხმობს “სულელი!”-ს. ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შესტია იტალიაში, გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციაში და იტალიური მეტყველების ერთ-ერთი შემადგენელი

კომპონენტია. **ნიკაპზე ხელის წარტემა** – ნიშნავს – არა, არ მაინტერესებს!” თითქმის ყველა ნიკაპს ქვევიდან ბიბი წინისკენ. მას ნეგატიური მნიშვნელობა აქვს. **რქები პორიზონტალურად** – ამას სხვადასხვა დატვირთვა აქვს, მათ შორის ერთ-ერთია ავი თვალისგან თავდაცვა. **ლოყაზე თითის ჩამოსმა** – ის დამნაშავეა, ის ბოროტმოქმედია.” ცერა თითი მოძრაობს ლოყის გასწვრივ მიმართულებით ზევიდან ქვევით. ამ შესტს სავარაუდოდ დამნაშავე ბანდის წევრები იყენებდნენ. იგი გამოიყენებოდა მაფიოზურ ორგანიზაციებში, მას კარგად იცნობენ სამხრეთ იტალიაში.

ნებისმიერი კულტურა სხვადასხვანაირ როლს ანიჭებს მისი საკომუნიკაციო შესაძლებლობების ფარგლებში მყოფ კინესიკურ კოდს. მაგალითად, იტალიელებს კომუნიკაციის ისეთი საშუალებები აქვთ, რომელიც მხოლოდ მათთვის არის დამახასიათებელი. საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იტალიელების კინესიკური ქცევა მეტად მდიდარია და არ არის შეზღუდული რაიმე სპეციალური ნორმებით.

დასკვნა

ამა თუ იმ ენის არავერბალური კომპონენტების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და საჭიროა გარკვეული ყურადღება დაეთმოს მის სწავლასა თუ სწავლებას, რადგან ამ ნიუანსების გარეშე შეუძლებელია მოცემული ერის კულტურისა და ენის ძირფესვიანი შესწავლა და ამ ენაზე სწორი კომუნიკაციის წარმართვა. მოცემულ საკითხს იკვლევს არაერთი მეცნიერი იტალიაში არსებობს სპეციალური კურსები, სადაც ძირფესვიანად შეისწავლება იტალიური ენის კინესიკა.

ლიტერატურა

1. Giannelli M.T. (2006): Comunicare in modo etico. Raffaello Cortina Editore. Milano

2. Guazzo S, (1993): La Civil Conversazione/ Panini
3. Григорьева С. А, Н. В. Григорьев, Г. Е.Крейдлин. (2001): Словарь Языка Русских Жестов. Москва- Вена
4. დელედა გ. (2009): ლერწამი ქარში, ინტელექტი, (თარგმანი ნანა ზარდიაშვილის)
5. Deledda G, (1965): Canne al vento. Mondadori
6. Volli U. (1994): Il libro della comunicazione. Il Seggiatore. Milano
7. ცერცვაძე ნ, (2007): ფატოკური კომუნიკაცია და მისი ტიპოლოგია იტალიურ ენაში. «გამომცემლობა თბილისი»
8. Watzlawick, Beavin, Jakson, (1971): Pragmatica della comunicazione umana, (trad.it Massimo Ferretti). Casa Editrice Astrolabio. Roma

Особенности невербальной коммуникация в итальянском языке

*Джачи Кетеван Николаевна
Государственный университет Ильи
Департамент романистики
Пр. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 899 508 337
E-mail: kdjachy@yahoo.com*

*Ломия Нана Велодиевна
Государственный университет Ильи
Департамент романистики
Пр. К. Чолокашвили N 5, 0162 ,Тбилиси, Грузия
Тел.: 897 292 960
E-mail: n.lomia@libero.it*

Резюме

В статье рассматривается вопрос о невербальных средствах дискурса. Для проведения полноценной коммуникации и для дальнейшей ее адекватной оценки, необходимо исследование не только вербального состава дискурса, но и невербальных компонентов коммуникации. Паралингвистические средства являются одним из составляющих как письменного, так и устного дискурса. На протяжении десятков лет для ученых объектом исследований был вопрос только о вербальной коммуникации, но исходя из того, что коммуникация это комплексная система, вербальная коммуникация это одна из ее форм. В статье рассматриваются экстравербальные элементы: выражение лица, взгляд, дистанция между коммуникантами, движения и т. д. Приведены несколько жестов. Подобные явления рассматриваются на материале итальянского языка.

Ключевые слова:

Невербальная коммуникация, кинэсический код, паралингвистические элементы, жестикуляция, дискурс.

Particularity of Nonverbal Communication in the Italian Language

*Ketevan N. Djachy
Ili State University
Romance Department
32 Ili Chavchavadze aven., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 899 508 337
E-mail: kdjachy@yahoo.com*

Nana V. Lomia
Ilia State University
Romance Department
K. Cholokashvili av. 5,
0162, Tbilisi, Georgia
Tel.: 897 292960
E-mail: n.lomia@libero.it

Abstract

The article is dedicated to the research of non-verbal elements in discourse. For directing communication process correctly and for its adequate evaluation it is essential not only to study verbal part but to research all components of discourse. Among these components the paralinguis-

tic methods are emphasized which are often used in an oral or written discourse. Just few years ago scientists studied only verbal communication, but verbal communication, in general, is one of the forms of communication, for the communication is a complex act.

The work also deals with extra-verbal elements, such as: face expression, look, distance between speakers, movements. Different gestures are also described. There are described alike phenomena based on the Italian language material.

Keywords:

nonverbal communication, kinesic code, paralinguistics, gesticulation, discourse